დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა ედიშერაშვილი
წევრ(ებ)ი:
მაია მამისეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**232550744**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი წინარეხი
იურიდიული მისამართი	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი წინარეხი
ფაქტობრივი მისამართი	სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი წინარეხი
საფოსტო ინდექსი	**2610**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**tsinarekhi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577 27 50 53**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 22 ივლისის MES 2 25 0000901695 ბრძანება**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**15.08.2025 წ**

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 22 ივლისის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ" N901695 ბრძანებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, 2025 წლის 15 აგვისტოს განხორციელდა ექსპერტთა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი ერთ სამუშაო დღეს მოიცავდა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა განახორციელეს კონკრეტული აქტივობები დღის წესრიგის შესაბამისად, რაც მოიცავდა ინტერვიუებს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მშობლებთან და მოსწავლეებთან. ასევე, მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ სკოლის შიდა გარემოს, ორგანიზაციულ კულტურას, დოკუმენტაციას და ზოგად, სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებულ მიმდინარე რეგულაციებსა და პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ გარემოებების შესწავლას, რომლებიც უკავშირდებოდა სკოლის ფილოსოფიას, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. შეფასდა, თუ რამდენად მუშაობს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრული პროცესები, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმები, როგორ მიმდინარეობს პროცესების მონიტორინგი და შეფასება და რამდენად იყენებს სკოლა არსებულ მონაცემებსა და მიგნებებს თვითგანვითარებისათვის.
დამატებით, სკოლის ადმინისტრაციამ ექსპერტებს წარუდგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სხვა სამართლებრივი თუ პროცედურული მასალები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად უკავშირდებოდა განხილულ საკითხს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
60	**30**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 **სკოლის ფილოსოფია**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	*სკოლამ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში.*
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	*სკოლამ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების თვითშეფასება, შედეგების ანალიზი და ამის გათვალისწინება 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.*
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	*სკოლამ 2026 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს მიმდინარე 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირები.*
1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	*სკოლამ 2026 წლის 5 სექტემბრემდე უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე.*
1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	*სკოლამ 2026 წლის 5 სექტემბრემდე უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	***სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის აქტივობების მონიტორინგის ფორმაში შინაარსობრივად აისახოს ამოცანები და განხორციელებლი აქტივობები, რათა მკაფიოდ შეფასდეს ინდიკატორებთან კავშირი და გამოიკვეთოს, თუ რასთან მიმართებაში განხორციელდა მონიტორინგი. ასეთი ფორმით შექმნილი დოკუმენტი იქნება მარტივად აღსაქმელი სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.***

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის მიმართ წინა ვიზიტის ფარგლებში (წარმოების ტიპი - ავტორიზაცია) ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზრული სტანდარტის მიმართულებით რეკომენდაციები არ გაცემულა. გაიცა მხოლოდ რჩევები.

რეკომენდაცია იყო გაცემული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიმართულებით, რაც არ იყო მიმდინარე არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შეფასების აღწერის სფერო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული მიგნებები და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

1. *ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა იყო ბუნდოვანი და აბსტრაქტული, რაც შეუძლებელს ხდიდა მისი შესრულების გაზომვასა და შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, სკოლამ მიიღო რჩევა, რომ შეემუშავებინათ ხედვის ისეთი განაცხადი, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ მკაფიოდ განესაზღვრათ, თუ რამდენად მიაღწიეს ორგანიზაციული განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს.*
   ასევე, მონიტორინგის ვიზიტის დროს სტრატეგიული გეგმაში წარმოდგენილი ღირებულებები არ იყო თანხვედრაში სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ ღირებულებებთან. ამასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ ღირებულებებთან მოსულიყო შესაბამისობაში სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ღირებულებების ნაწილი. სკოლამ გაითვალისწინა მიცემული შენიშვნები და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც წარმოდგენილია სკოლის ახალი ხედვა - მისი ახალი ფორმულირება მკაფიო და გაზომვადია, ითვალისწინებს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების სტრატეგიებით, მეთოდებითა და მიდგომებით სწავლებას, მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, მათ ორგანულ ჩართვას განათლების უწყვეტ პროცესში.
   მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი ღირებულებები შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან.

2. *მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან - მოსწავლეებთან და მშობლებთან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, ***ინდიკატორი 1.1.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

3. *მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის სტრატეგიულ გეგმაში არსებული მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არ იყო გამიჯნული, არ იყო წარმოდგენილი სწორი იერარქიით, რაც ართულებდა დოკუმენტის შინაარსობრივ ლოგიკურობას. ამასთან დაკავშირებით გაიცა რჩევა. სკოლამ გაითვალისწინა მიცემული რჩევა და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც მკაფიოდ არის წარმოდგენილი სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიის მთავარი, მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.*

4. *მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნებოდა წინა წლის თვითშეფასებასა და შედეგების ანალიზს.*
   ამასთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების თვითშეფასებას, შედეგების ანალიზს და ამის გათვალისწინებას 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

5. *ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები, ინდიკატორები და ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით* ***ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. *მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლამ 2024-2025 სასწავლო წელს განახორციელა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, თუმცა სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირები ამ პროცესებში არ იყო გათვალისწინებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის მანძილზე განხორციელდება მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სადაც გათვალისწინებული იქნება დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირები. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე,* ***ინდიკატორი 1.2.2.2 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

7. *მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ იყო საჯაროდ გამოქვეყნებული სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრემდე მოხდება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით,* ***ინდიკატორი 1.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

8. *მონიტორინგის ვიზიტის დროს, დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ვერ იყენებდა სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე განახორციელებს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე,* ***ინდიკატორი 1.2.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;***

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას (შემდგომში სკოლა) აქვს 2023 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები.

მისიაში აღნიშნულია, რომ განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მატერიალური და ადამიანური რესურსების მოზიდვას, სკოლის კონტიგენტის გაზრდას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სწავლა განაგრძონ, როგორც საშუალო საფეხურზე, ასევე, პროფესიულ სასწავლებლებში. სკოლის მისიაში ყურადღება გამახვილებულია ცოდნის მიღებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეებს მეტად გააცნობიერონ საკუთარი მოვალეობები ოჯახისა და სახელმწიფოს წინაშე. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესაბამისობა მკაფიოა, როცა სკოლა აქცენტს აკეთებს ჯანსაღი ცხოვრებს წესზე, ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ოჯახისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაზე.
ხედვით სკოლა აცხადებს, რომ ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. ასევე, „ზრუნავდეს *თავისუფალი* და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. *წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში".* „თავისუფალი ადამიანის ჩამოყალიბება" ზოგადი და აბსტრაქტული ფორმულირებაა, კონკრეტული ინდიკატორებით მისი გაზომვა რთულია. „სკოლის წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში" იმდენად ფართო დიაპაზონის ფორმულირებაა, რომ რთულია უშუალოდ სკოლას დავუკავშიროთ.

ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა იყო ბუნდოვანი და აბსტრაქტული, რაც შეუძლებელს ხდიდა მისი შესრულების გაზომვასა და შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, სკოლამ მიიღო რჩევა, რომ შეემუშავებინათ ხედვის ისეთი განაცხადი, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ მკაფიოდ განესაზღვრათ, თუ რამდენად მიაღწიეს ორგანიზაციული განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს.
სკოლამ გაითვალისწინა მიცემული შენიშვნები და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც წარმოდგენილია სკოლის ახალი ხედვა - მისი ახალი ფრომულირება მკაფიო და გაზომვადია, ითვალისწინებს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების სტრატეგიებით, მეთოდებითა და მიდგომებით სწავლებას, მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, მათ ორგანულ ჩართვას განათლების უწყვეტ პროცესში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების/თემის წინაშე. სკოლა მისიით განსაზღვრავს, რომ ორიენტირებულია მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.
სკოლა ხედვით აცხადებს, რომ ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე და კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უსაფრთხო ფსიქო-ემოციურ და ფიზიკური გარემოს. გარდა ცოდნის მიცემისა, სკოლა ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროს ის უნარები, რომლებიც საჭიროა სოციალური ინტეგრაციისთვის, წარმატებული ცხოვრებისთვის და საზოგადოების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის, გააძლიეროს თანამშრომლობითი და პოზიტიური ურთიერთობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლაში განხორციელებული ფორმალური და არაფორმალური აქტივობები ემსახურება ამის მიღწევას. მაგალითად, ინტერვიუირებისას მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში - აღნიშნეს დედამიწის დღე გამწვანების აქციით, განახორციელეს ნარჩენების მართვის ინიციატივები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა ბიბლიოეთეკის წიგნებით გამრავალფეროვნების აქცია, ჩატარდა მხიარული სტარტები მშობელთა და მასწავლებელთა ჩართულობით. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით უყვართ ისტორიის, მოქალაქეობის გაკვეთილები და პროექტები მოცემული საგნების ფარგლებში, რომლებიც ემსახურება საკუთარი ქვეყნის სიყვარულისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებას.
მონიტორინგის ვიზიტის დროს მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მშვიდი, კომფორტული და უსაფრთხო გარემო სკოლის ძლიერი მხარეა. მოსწავლეები სკოლის მასწავლებლებისაგან გრძნობენ მუდმივ მხარდაჭერას. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მასწავლებლები, სკოლის ადმოინისტრაცია ორიენტირებულნი არიან თითოეულ მოსწავლეზე.
სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში დირექტორის ბრძანებით 2023 წლის 10 მაისს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი და კათედრის ხელმძღვანელები. ჯგუფმა ჩაატარა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები (მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების გამოკითხვის ბეჭდური ფორმები/ანკეტა), რის საფუძველზეც შემუშავდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც სკოლის დადებითი პრაქტიკაა.
სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი ღირებულებები: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა, სამართლიანობა, პუნქტუალურობა, თანასწორობა, შემოქმედებითობა, ტოლერანტობა, კულტურული მემკვიდრეობის დაფასება.
სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან (2023-2030წ.წ.) გეგმაში სკოლის ფილოსოფიის აღწერისას მისიასა და ხედვასთან ერთად მოცემულია სხვა შინაარსის ღირებულებები, მაგალითად „ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატება“, ან „ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება“ და ა. შ. სტრატეგიულ გეგმაში არსებული ღირებულებების ჩამონათვალი შინაარსობრივად ბუნდოვანი და გაუმართავია.
მოცემული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი განსხვავებული ღირებულებების ჩამონათვალითაა გამოქვეყნებული სკოლის პორტალზეც. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა პრაქტიკულად ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმაში (2024-2025) მოცემული ღირებულებებით.
მონიტორინგის ვიზიტის დროს სტრატეგიული გეგმაში წარმოდგენილი ღირებულებები არ იყო თანხვედრაში სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ ღირებულებებთან. სკოლამ გაითვალისწინა მიცემული რჩევა და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც წარმოდგენილი ღირებულებები შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენადაა გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლაში ვიზიტისას დაიგეგმა შეხვედრები და ინტერვიუები სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების წარმომადგენლებთან, დაწყებითი და საბაზო საფეხურების რამდენიმე მოსწავლესთან (მშობლეთა თანხმობით), მშობლებთან.

მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მათთვის უცნობია და არ მომხდარა მათი განხილვა.

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ კათედრის ხელმძღვანელები და ადმინისტრაცია იყო ჩართული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში და შემდეგ მოხდა სასკოლო ფილოსოფიის განხილვა მთელ გუნდთან.

სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება (ოქმი, რეფლექსია, უკუკავშირი, ჩანაწერები, ფოტომასალა და სხვა.), რაც დაადასტურებდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები მასწავლებლების გარდა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვან წარმომადგენლებთან - მოსწავლეებთან და მშობლებთან.

მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ იყო გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან - მოსწავლეებთან და მშობლებთან.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით:

ინდიკატორი 1.1.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. ***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;***

სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია სკოლის ცენტრალურ დერეფანში.

ასევე სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია ასევე სკოლის ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge/ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448-13.09.2005 და N194-16.03.2007 ბრძანებებით განსაზღვრულია სკოლის ტიპი და სახელწოდება: სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;**
- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკ. პედსაბჭოს ოქმით N1-06.09.2024;**
- **კითხვარები (გამოკითხვის ფორმები მოსწავლის, მშობლის…)**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სამუშაო ჯგუფთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან;**
- **სკოლის პორტალი: https://skolebi.emis.ge/**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;***

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია სტრატეგიული დაგეგმვის მიზანი, სასკოლო ფილოსოფიის მნიშვნელობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და აღნიშნულია, თუ როგორ განსაზღვროს სკოლამ ხედვა და მისია, მისი გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო და რეალისტური საშუალებები. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლისთვის სტრატეგიული დაგეგმვა, რომ სკოლამ თავად განსაზღვროს, თუ რა მიმართულება უნდა აირჩიოს სასურველი შედეგების მისაღწევად და ამით საფუძველი ჩაუყაროს კონკურენტული უპირატესობის მიღწევას. აღნიშნულია, რომ ეს პროცესი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მონაწილეობა მიიღოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო მიზნების მიღწევაში, რაც ქმნის სტრატეგიული გეგმის პიროვნული და ორგანიზაციული კუთვნილების განცდას; დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლამ უნდა გამოიყენოს მონიტორინგის ყველა საშუალება, რათა შეაფასოს სკოლის პროგრესი დასახულ მიზნებთან მიმართებაში, განსაზღვროს, რამდენად ეფექტურად ხორციელდება სტრატეგიული გეგმა და არის თუ არა საჭირო ცვლილებების შეტანა.

მეთოდოლოგიით წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს, დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები და უფლება-მოვალეობები სკოლის სტრატეგიული განვითარების პროცესში. ასევე განსაზღვრულია, რომ მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფებში მშობელთა, პედაგოგთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლების ჩართვა, რათა სტრატეგია/ბიუჯეტი ასახავდეს სკოლის საერთო ხედვას და ყველა ზემოთ მოყვანილი დაინტერესებული ჯგუფის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. გარდა ამისა, სასურველია, რომ დაგეგმვის პროცესში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელები.

ძირითადი პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოზე, რომ საბჭომ დირექტორთან ერთად უნდა შეიმუშაოს მონაცემების შეგროვების მექანიზმები და პროცედურები და უზრუნველყოს მათი რეგულარული განხილვა და ანალიზი, ხოლო სკოლის დირექტორი ვალდებულია, ზედამხედველობა გაუწიოს სკოლის მუშაობას, შეაფასოს სასწავლო სტანდარტები და უზრუნველყოს სათანადო პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და შენარჩუნება. დირექტორი არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, წარუდგენს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს სკოლის ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. ***სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;***

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2023-2030წ.წ.) გეგმაში განსაზღვრულია მისიისა და ხედვის მიღწევის შემდეგი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, რისკები. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი ამოცანები:

- ორგანიზაციული განვითარება;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვა;
- სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა,
- ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა;
- სწავლა სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების მექნიზმების შემუშავება და დანერგვა;
- პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფა;
- შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება;

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ეს ჩამონათვალი დასახელებულია ამოცანებად, რაც მათი კონტექსტიდან გამომდინარე, წარმოადგენს მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში ცნება „მიზანი“ და ცნება „ამოცანა“ გადანაცვლებულია, რაც ამცირებს დოკუმენტის სიცხადეს და ლოგიკურობას. მაგალითად,

ორგანიზაციული განვითარებისათვის გათვალისწინებულია:

- ✓ *სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება.*
- ✓ *მართვის მოდელის ოპტიმიზაცია.*
- ✓ *ინფრასტრუქტურის განვითარება, გაუმჯობესება.*
- ✓ *სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარება.*
- ✓ *ვებგ-ვერდის შექმნა, სოციალური ქსელის განვითარება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შინაარსობრივი სპეციფიკით, წინ ჩამოთვლილი ,,ამოცანები“ სტრატეგიული მიზნებია, ხოლო გეგმაში შესაბამისად წარმოდგენილი აქტივობები - „ამოცანები“.
ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ ამოცანების ნაცვლად იგულისხმევა სტრატეგიული მიზნები და ქვემოთ ჩამონათვალი არის ამოცანები. მაგალითად, ორგნიზაციული განვითარება არის მიზანი, ხოლო სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება - ამოცანა.
რჩევა: მნიშვნელოვანია სტრატეგიული განვითარების გეგმა მკაფიოდ აყალიბებდეს - ძირითად მიზნებს, გრძელვადიან და ზოგადი ხასიათის ორიენტირებს, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას 7 წლის განმავლობაში და მათ შესაბამის ამოცანებს - კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ის აქტივობები კი, რომლებიც ემსახურება სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების მიღწევას, აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
სკოლის სტრატეგიულ გეგმაში არსებული მიზნები და ამოცანები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს, ჩამოყალიბდეს სწორი იერარქიით, რათა გეგმა იყოს უფრო ლოგიკური და მარტივად აღსაქმელი.

სტრატეგიული განვითარების გეგმა ციკლურია, მაგალითად, გაწერილია, რომ ყოველწლიურად შემუშავდება სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის საფუძველზე, საჭიროებების შესაბამისად მოხდება განახლება/კორექტირება.
სტრატეგიული გეგმაში წარმოდგენილი მიზნები/ამოცანები - სწავლების ხარისხის ზრდა, ჯანსაღი გარემოს შექმნა, დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერა რეალურად ემსახურება მისიის ძირითად კომპონენტებს, ხოლო ორგანიზაციული განვითარება და გარე პარტნიორობები ხაზს უსვამს „განვითარებაზე ორიენტირებულ სკოლას“, ექსტრაკულიკულარული აქტივობები და კომუნიკაციები ხელს უწყობს „სოციალურ და კულტურულ პროცესებში“ ჩართულობას. ხედვის ზოგადობის გამო ზოგიერთ მიზანთან კავშირი უფრო დეკლარაციულ დონეზე რჩება (მაგ., კონკრეტულად როგორ შეიტანს სკოლა წვლილს „ეკონომიკურ განვითარებაში“). სტრატეგიული მიზნები/ამოცანები საერთო ჯამში, თავსებადია მისიასა და ხედვასთან.
სკოლამ გაითვალისწინა მიცემული რჩევა და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც მკაფიოდ არის წარმოდგენილი სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიის მთავარი, მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრატეგიული მიზნები/ამოცანები, თავსებადია მისიისა და ხედვის დებულებებთან.

1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ყოველწლიურ თვითშეფასებას უნდა ეფუძნებოდეს, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ განვითარებას. თუმცა, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ვერ იყენებს ამ მექანიზმს პრაქტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ფორმალურად სტრატეგიულ გეგმას ეფუძნება, დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ იგი 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის იდენტურია. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს არ განხორციელებულა სკოლის თვითშეფასება და SWOT ანალიზი. შესაბამისად, ახალი სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს წინა წლის მიღწევებსა თუ გამოწვევებს, რაც არსებითად აცლის აზრს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს.

გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის მონიტორინგის ფორმა, რაც კიდევ უფრო ადასტურებს, რომ აქტივობების შესრულებაზე სისტემატური დაკვირვება და შეფასება არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში არსებობს, ის წარმოადგენს მხოლოდ 2023-2024 სასწავლი წლის მეორე სემესტრისა და 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მიმდინარე სასწავლო პროცესის შეჯამებას (ასევე ფინანსური ანგარიშიც) და ეს მონაცემები არ არის გამოყენებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დასახვეწად.

შესაბამისად, სკოლაში ვერ ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სტრატეგიული დაგეგმვის უწყვეტი ციკლი, სადაც წინა წლის შედეგები/თვითშეფასება ახალი სამოქმედო გეგმის საფუძველი ხდება.

მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნებოდა წინა წლის თვითშეფასებასა და შედეგების ანალიზს.

ამასთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თვითშეფასებას, შედეგების ანალიზს და ამის გათვალისიწინებას 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. ***სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.***

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები:

- სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება
- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა
- სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება

სკოლის სამოქმედო გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ მიზნებს ეფუძნება და მოიცავს აქტივობებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, არ არის სრულყოფილი და ეფექტური. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც 2023-2024, ისე 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი ადამიანური/ფინანსური/მატერიალური რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები, ინდიკატორები და ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკ. პედსაბჭოს ოქმით N1-06.09.2024;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სამუშაო ჯგუფთან, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებთან;
- სკოლის პორტალი: https://skolebi.emis.ge/

1.2.2 სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;***

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეშვეობით სკოლამ უნდა განსაზღვროს, რა დონეზე შესრულდა წინა წლის მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის მიერ არჩეული სტრატეგია. სკოლის მინიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებს SWOT ანალიზს, მონიტორინგის შედაგად გამოვლენილი საფრთხეების თავიდან აცილებას და გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებასა და გაძლიერებას.
დოკუმენტის თანახმად, სკოლის განვითარების გეგმის შეფასება ხდება მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების შეხედულებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ნათქვამია, რომ სკოლის საზოგადოების მოთხოვნილებების შესასწავლად სასარგებლოა სკოლის თვითშეფასების მექანიზმების გამოყენება, რაც გულისხმობს სკოლის თანამშრომლების, დირექტორის, მშობლებისა და ზოგ შემთხვევაში მოსწავლეების გამოკითხვის ჩატარებას.
ასევე, მონიტორინგით უნდა გაეცეს პასუხები შემდეგ კითხვებს:

- რამდენად კარგია მოსწავლეთა მოსწრება?

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- რამდენად კარგად ხორციელდება სკოლის მართვა?
- რამდენად კარგად მუშაობს სკოლა?

მეთოდოლოგიით რეკომენდებულია, რომ სამეურვეო საბჭომ კვარტალში ერთხელ მაინც განიხილოს მონიტორინგის შედეგები, დირექტორმა კი - თვეში ერთხელ. ყოველი წლის ბოლოს სკოლის განვითარების გეგმა უნდა განახლდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ***მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;***

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სამეურვეო საბჭომ სემესტრში ერთხელ მაინც განიხილოს მონიტორინგის შედეგები, დირექტორმა კი - თვეში ერთხელ. აქედან გამომდინარე, დოკუმენტი განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელების უწყვეტობას და სხვადასხვა ფორმით სასკოლოს საქმიანობაზე დაკვირვებას. აღნიშნულ დოკუმენტში სკოლის საზოგადოების მოთხოვნილებების შესასწავლად დაგეგმილია სკოლის თანამშრომლების, დირექტორის, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის ჩატარება. ამ გზით სკოლა სრულყოფილ ინფორმაციას მიიღებს სკოლის საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ, რომლებიც შემდეგ სკოლის სტრატეგიულ და წლიურ განვითარების გეგმებში აისახება.

სკოლის ავტორიზაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში აღწერილია, რომ იმ დროს სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული გამოკითხვის ფორმები - მოსწავლის, მშობლებისა და მასწავლებლის გამოკითხვის ანკეტები, რითაც მოახდენდენ მათი განწყობებისა და დამოკიდებულებების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში მონიტორინგის განხორციელების პროცესში მოხდა ყველა იმ დოკუმენტის/მტკიცებულების გამოთხოვა, რომელიც დაადასტურებდა, თუ როგორ ახორციელებს სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა 2023 წელს ჩატარებული გამოკითხვის ანკეტები. ადმინისტაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მას შემდეგ სკოლაში რაიმე მსგავსი ტიპის გამოკითხვა აღარ განხორციელებულა.

სკოლაში არ არის განსაზღვრული მონიტორინგის ჯგუფი. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი და სამეურვეო საბჭო. რაიმე ტიპის ოქმი, ანგარიში, მოხსენება, მტკიცებულება განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით არ წარმოუდგენიათ.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას (2024-2025) თან ახლავს განხორციელებული აქტივობების მონიტორინგის ფორმა და ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლამ ყოველწლიურად უნდა აწარმოოს მოცემული დოკუმენტი. მონიტორინგის ფორმაში გათვალისწინებულია ამოცანების, აქტივობების, ინდიკატორების, 5 დონიანი შეფასების (ჯერ არ დაწყებულა; მიმდინარეობს; შეჩერებულია; შეწყვეტილია; დასრულებულია), რეკომენდაციების სვეტები.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ განხორციელებული აქტოვობების მონიტორინგის ფორმა 2023-2024 სასწავლო წელში არ წარმოებულა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მხოლოდ 2024-2025 სასწავლო წლის პერიოდში განხორციელებული აქტივობების მონიტრინგის ფორმა, რაც არ არის სრულფასოვანი. აქტივობების მონიტორინგის ფორმაში არ არის მოცემული შინაარსობრივად ის ამოცანები და აქტივობები, რა მიმართულებითაც განხორციელდა მონიტორინგი. მათ ნაცვლად მოცემულია ნუმერაცია. მოცემულ ფორმაში წარმოდგენილია მხოლოდ შესრულების ინდიკატორები, შესრულების შეფასების აღნიშვნები და რეკომენდაციები. იქიდან გამომდინარე, რომ აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები არ იყო გათვალისწინებული ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რთულად აღსაქმელი ხდება ამ ორი დოკუმენტის შესაბამისობა, თუ კონკრეტული აქტივობის განხორციელებას - რა ინდიკატორი შეესაბამება.

რჩევა: სასურველია 2024-2025 სასწავლო წლის აქტივობების მონიტორინგის ფორმაში შინაარსობრივად აისახოს ამოცანები და განხორცელებლი აქტივობები, რათა მკაფიოდ შეფასდეს ინდიკატორებთან კავშირი და გამოიკვეთოს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თუ რასთან მიმართებაში განხორციელდა მონიტორინგი. ასეთი ფორმით შექმნილი დოკუმენტი იქნება მარტივად აღსაქმელი სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

სკოლამ მოგვიანებით, დღის ბოლოს წარმოადგინა სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში, არ არის მითითებული თუ ვინ განახორციელა მოცემული ანგარიში და ვისთან მოხდა მისი წარდგენა, რადგანაც სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმებში არ იკვეთება წლის ბოლოს მონიტორინგის ანგარიშის განხილვის საკითხები. შესაბამისად, ვერ დასტურდება, თუ მოცემული ანგარიში რამდენად ვალიდურია, არ ახლავს რაიმე ხელმოწერაც კი.

მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რაიმე სახის უკუკავშირი (ინტერვიუ, რეფლექსია, კითხვარი, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი და სხვა) მათი მხრიდან 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას არ მიუღია.

მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, გაწერილია საგნები და განრიგი კლასების მიხედვით. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიებს, რასაც წარადგენენ კათედრებზე. კათედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და კურიკულუმებში გათვალისწინება, ასევე დადგენა, თუ რამდენად კარგია მოსწავლეთა მოსწრება. მოცემული მონაცემები გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაშიც.

სკოლაში სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პროცესები არამდგრადი და დაუხვეწავია.

მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლამ 2024-2025 სასწავლო წელს განახორციელა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, თუმცა სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირები ამ პროცესებში არ იყო გათვალისწინებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის მანძილზე განხორციელდება მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სადაც გათვალისწინებული იქნება დაიტერესებული მხარეთა უკუკავშირი. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი 1.2.2.2 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. ***სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;***

სკოლამ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები (საბოლოო ანგარიში) საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების შესახებ. საჯაროობის უზრუნველყოფის ყველაზე მარტივი გზა მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაა. სკოლის მიერ განხორციელებული 2024-2025 სასწავლო წლის (არც წინა სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ არის საჯაროდ გამოქვეყნებული სკოლის ვებ-გვერდზე.

მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ იყო საჯაროდ გამოქვეყნებული სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრემდე მოხდება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, ***ინდიკატორი 1.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

4. ***სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.***

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა და მისი შესრულების ანგარიში არ იქნა გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი არ განხორციელებულა, რის გამოც 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ფაქტობრივად წინა წლის გეგმის ანალოგიურია.

მონიტორინგის ვიზიტის დროს, დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ვერ იყენებდა სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა, რომ 2026 წლის 5 სექტემბრამდე განახორციელებს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.2.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მონიტორინგის ფორმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან;
- სკოლის პორტალი: https://skolebi.emis.ge/
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შესახება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე: /ნ. ედიშერაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: /მ. მამისეიშვილი/

თარიღი: 11/09/2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---